ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ორშაბათი, 19 თებერვალი № 1386

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოამბე" და „ცნობის ფურცელი"

ერთად ღირს წლიწადში: ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის 11 მან., ქალაქ ტფილისის მცხოვრებათვის 10 მანეთი. ფასის განაწილება: ხელის მოწერის დროს 6 მან.—ქალაქ გარეთ ხელის მომწერთათვის, ადგილობრივ ხელის მომწერთათვის 5 მანეთი. შემდეგ, აპრილის 1-ლს 3 მან. და ენკენისთვის 1-ლს 2 მანეთი.

„ცნობის ფურცელი" ცალკე—წლიწადში 6 მან., ნახევარ წლიწადში 4 მან. და თვეში 75 კაპ.

ტფილისის არტისტიულ საზოგადოების თეატრში და დარბაზში
სამშაბათს, 20 თებერვალს,
კნეინა ნინო დავითის ასულის ჩოლოყაშვილის თაოსნობით
ქართული დრამატიული **საზოგადოების** და არტისტთა დასახმარებელი ფონდის სასარგებლოდ გამართული იქნება წარმოდგენა და ბალი:

I
ქართულად **ხანუმა** კომ. ა. ცაგარლისა (1-ლი და მე-2 მოქმ.)
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძე; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, შათირიშვილი კანდელაკი და სხვ.

II. რუსულად **დროებით სიყვარული** კომ. 2 მოქ.
მონაწ. მიიღებენ: ქ.ქ. პაპოვისა, ხატისოვისა; ბ.ბ. ოპოჩინინი, ტატიშჩევი და ვეიმანი.

III
ცოცხალი სურათები
დადგმული ი. ა. ი. შამშინოვის-მიერ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. კნ. მ. ტ. ბარათაშვილისა, კნიაჟ. ნ. ა. აფხაზისა, მ. ს. წერეთლისა, თ. გ. წერეთლისა, ე. ს. წერეთლისა, ე. დ. ჩოლოყაშვილისა, ი. დ. ფალავანდიშვილისა, ქ-ნი ვ. ს. შამშინოვისა, ე. გ. ჭიჭინაძისა, ა. ი. კაბენინისა, ა. გ. იოსელიანისა, კნიაჟ. თ. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა, ქ-ნი მ. ა. მუატი, კნიაჟ. ს. ზ. ჭავჭავაძისა, ქ-ნი ა. დ. ჩიჩავაძისა და თავ. ი. დ. აბაშიძე.

IV
წარმოდგენის დასასრულ არტისტ. საზოგად. დარბაზში გამართება
ბ ა ლ ი
წარმოდგენის დასაწყისი 8 ს., ბალისა 12-ზე.
ლოჟები ყველა გაყიდულია.
დანარჩენი ბილეთების ყიდვა შეიძლება ქართულ თეატრის კასაში.

არტისტიულ საზოგადოების თეატრის დარბაზში
შაბათს, 24 თებერვალს,
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართება
კონცერტი
2 განყოფილებად.
მონაწილეობას მიიღებენ: კნიაგ. გურამიშვილისა, ქ-ნი ტერიან-ყორღანოვი, კნ. ამირეჯიბისა, ქ-ნი თუმანიშვილისა და ბბ. ვილშაუ, კარგარეთელი, კავსაძე, ხორო და ორკესტრი ნ. ს. კლენოვსკის გამგეობით.

კონცერტის დასასრულ
საცეკვაო საღამო.

განცხადება

ამიერ კავკასიის რკინის გზებზედ მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების გამგეობა იწვევს იმ პირთ, რომელნიც მოისურვებენ 20 მარტამდე მიჰყიდონ საზოგადოებას შემდეგი საქონელი:

კარაქი	60 ფუთი
სმეტანა	25 ფუთი
ხაჭო (ტვოროგი)	50 ფუთი
ღორის უკანა ბირკალი (ლორად)	420 ფუთი
ღორის გვერდები (ლორად)	50 ფუთი
კვერცხი	110000 ცალი

განცხადებანი ფასების აღნიშვნით და ნიმუშებით 24 თებერვლამდე უნდა წარედგინოს საზოგადოების გამგეობას, რომელიც იმყოფება მიხაილოვის პროსპექტზე, ალელოვის სახლში, 162. (2—1)

ტფილისის ქალაქის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,
დ ი ლ ი თ:
ვ. ი. ჭიჭინაძე—ბრილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9–10 ს.
ნ. ა მუღიძე—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.
ი. პ. ახალშენიშვილი—ბრილის სნეულებანი—10—2 საათამდე.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.
ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.
ვ. დ. მარკევიჩი—სალოსტაქრო—$12^1/_2$ $1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათამდე.
მ. ი. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა 1—2 სათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი —5—6 საათამდე.
ა. ა. ბელოოგლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავათმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი
(წდ.) მიხეილ გედევანიშვილი

ახალი ამბავი

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზას 1899 წლის განმავლობაში ჰქონია წმინდა შემოსავალი 10,573,070 მანეთი.

✦ ბ. ტერ-დავითიანცს განუზრახავს გამოსცეს ქართულ ენაზედ წიგნაკები სათაურით „სომხური ბელეტრისტიკა". უკვე მზათ ჰქონია და ამ მოკლე ხანში გამოვა ხსენებულ გამოცემის პირველი წიგნაკი, რომელშიაც მოთავსებული იქნება შირვან-ზადეს „ძვირფასი ბორკილი", რაფფის „დარვიში" და „ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება სპარსეთში". მეორე წიგნაკში კი მოთავსებული იქნება სომეხთა გამოჩენილი პოეტების ლექსები („კვალი").

✦ ირაკლის აბანოს მექისეები, რიცხვით 36, გაფიცულან და მუშაობაზედ ხელი აუღიათ, რადგან აბანოს მოიჯარადრეს წინანდელზედ მეტი გადასახადი მოუთხოვნია.

✦ გუშინ, 18 თებერვალს, ტფილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში მოხდა გადმოსახლებულ რუსთა დამხმარებელ ამიერ კავკასიის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, ამავე გიმნაზიის დირექტორის ბ-ნ მარკოვის თავმჯდომარეობით, რომელზედაც დაესწრო სულ 19 წევრი. კრებამ პირველად განიხილა წარსულ 1900 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და დაამტკიცა; შემდეგ რამოდენიმე საქმის განხილვისა კრებამ ამოირჩია სარევიზიო კომისიის წევრად ბ-ნი ვ. ვლადიმიროვი და გარდასწყვიტა მიიღონ ის 50 კაცი, რომელთაც წერილობით სურვილი განუცხადებიათ ამ საზოგადოებაში წევრად ჩაწერისა. დაწვრილებით ანგარიშს ამ კრების შესახებ ხვალ დავბეჭდავთ.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ტფილისის ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა შეწერილ იქმნას დასაფასებელი გარდასახადი ტფილისის დამოჯნაზედაც; საბჭოს ეს დადგენილება, როგორც შევიტყეთ, გაუუქმებია ტფილისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს; ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა ამ საქმის შესახებ საკრებულოს მოწერილობა, დაადგინა—წარუდგინოს განსახილველად საბჭოს იმ მოხსენებით რომ განასაჩივრონ იგი უმართებულესს სენატში.

პროვინცია

თელავი. მცირე შენიშვნა «მოქალაქის» ვექილის «ჩიორას» ნათქვამის გამო. ეტყობა ბ. «მოქალაქეს» უცვნია სიმართლე ჩემი შენიშვნისა, მაგრამ იმდენი დიდ-სულოვნება არ შერჩენია, რომ საჯაროდ თავი ემართლებინა. მაგრამ, რადგანაც თვით ვერ მოუხერხებია ეს დაუსაბუთებელი თავის მართლება, მიუმართავს «ხერხიანის» ვექილისათვის, რომელსაც ვექილურის ძიებით ამოურჩევია მთელი ჩემის წერილიდან ის, რაც სხვათა შორის არის ნათქვამი, რაც უფრო ნაკლები ყურადღების ღირსი იყო. რაც კი პირდაპირს პასუხს შეადგენდა «მოქალაქის» წერილისას, ე. ი. საბუთები წინაადმდეგ თელაველ ქალთა უსაქმობისა და ის, რაც ქალთაგან დამოუკიდებელი მიზეზებისაგან წარმომდგარა, გამოუტოვებია და თვისი ღაშქრობა აუშენებია ამ ნაკლებ საყურადღებო ამბავზე.

რადგანაც ვექილ ჩიორას ახალ ამბათ მიაჩნია დოტის თამაშობა, ამიტომ ერთხელ კიდევ უნდა ვსთქვა ეს სხვებისათვის ძველის ძველი და ჩიორასთვის კი ახალი ამბავი, რომ თელაველი ქალები იშვიათად, მაგრამ მაინც თამაშობენ დოტს. დიახ, ამას ვუწოდე მე „უხეირო, მაგრამ უმანკო გართობა. ამით მინდოდა მეთქვა, რომ მოქალაქეს ახალი ქვეყანა არ აღმოუჩენია. უნახავს ის, რისიც მნახავი იქნებოდა მისი მამა და მამის მამა.

რაკი თელაველი ქალების შედარებითი საქმიანობა დასაბუთებული იყო ჩემგან, სიმწუხარით აღვნიშნე, რომ აქავე ქალები დოტის მიზეზით ერთად თავს იყრიან, მაგრამ მე არ მითქვამს, თუ ის ქალები, რომელნიც დოტს არა თამაშობენ, რას აკეთებენ, რამდენად სასარგებლოდ ხმარობენ თავიანთ ერთად თავმოყრას, თუნდა დოტის მიზეზით; არც იმაზე მითქვამს რამე, თუ ვინც დოტს თამაშობს, რაზე შეეძლო შეეცვალა იგი; ყველა ამას არც ახლა ვამბობ, იმავე მიზეზით, როგორც იყო ნათქვამი ჩემ წერილში, რომ დიდად საყურადღებოდ არ მიმაჩნია.

მართალია, რაც ერთისთვის დიდად საყურადღებო არ არის, მეორესათვის ერთად ერთ საყურადღებო საგნად შეიძლება გარდაიქცეს, მაგრამ მაინც კიდევ ბ-ნი ჩიორა რომ უფრო საყურადღებო საქმეს მეტის ბეჯითობით ეკიდებოდეს, ჩვენ, მკითხველებისათვის, და თვით მისთვისაც უფრო კარგი იქნებოდა. ეს ჩემი ნათქვამი რჩევა კი არ არის, რის უფლებაც არ მაქვს, არამედ მკითხველის თხოვნაა, რომელსაც ვერავითარი ვექილობა ვერ ჩამოართმევს მას.

თელაველი ქალი

წერილი რედაქციის მიმართ.

I

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ ანგარიში საცეკვაო საღამოსი, რომელიც გაიმართა 3 თებერვალს 1901 წელს ქ. გორის ქალთა პროგიმნაზიის და საქალაქო სასწავლებ.-ის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. შემოსავალი: ბილეთები გაიყიდა 190 მან. 50 კ., პრემია—75 მ. 82 კ., ბუფეტიდან—93 მ. 8 კაპ. სულ—359 მ. 40 კ., გასავალი: საქველ-მოქმედო მარკები, განათება და დარბაზის მორთულობა, ბუფეტისა, მეზურნეებს, დამკვრელების საჩუქარი, აფიშების და ბილეთების დაბეჭდვა, მოსამსახურეებს, ჟურჟლის, დამბების და სკამების ქირა, სულ—133 მ. 29 კ. სრული შემოსავალი დარჩა 226 მან. 16 კ., რომელიც გადაეცით დანიშნულებისამებრ. ამასთანავე გულითად მადლობას ვუცხადებთ კონცერტში მონაწილეობის მიღებისთვის. ქ. ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისას, თ. ი. ბარათაშვილს, ბ. ს. პ. გოგლიჩიძეს და ვინც ხოროში მონაწილეობა მიიღო; აგრეთვე ქ. ჩერქეზიშვილს. უსასყიდლოდ სამხედრო მუსიკის დათმობისათვის ქ. გორის პოლკის უფროსს პოლკოვნიკს ბ-ნს რიაბუხინს. საღამოს გამართვაში შემწეობის აღმოჩენისთვის: კნ. მ. ი. წერეთლისას, კნ. მ. ი. ვაჩნაძისას, კაპიტ. თ. ა. მაყაშვილს, საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ბ. ნ. ნ. პაგარელოვს, კაპ. თ. ბარათაშვილს, კაპ. ბ. გვახარიას; პორუჩიკებს: მ. ქართველიშვილს, ვ. ენგელმანს და ე. პაშჩენკოს; ცეკვის გამგეობისათვის კაპ. თ. დ. ვაჩნაძეს და აგრეთვე ყველა იმ პირთ, ვინც თანაგრძნობა აღმოგვიჩინეს.

საღამოს გამმართველნი: კნეინა მ. ქ. ამირეჯიბისა და ნ. დ. მაკარაშვილისა.

ქ. გორი.

II

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემულის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს მოსკოვის უნივერსიტეტის დარიბ სტუდენტს ბ. მ.-ს; სია შემომწირველთა: ხუთ-ხუთი მანეთი: გიორგი თავართქილაძემ, კარპე მოდებაძემ; სამ სამი მანეთი—№№, გოგოლი ბერეჟიანისა, ნიკო ცეცხლაძე; ორ-ორი—პავლე შევარდნაძე, ოსი ახალგორელი; თითო მანეთი და 50 კ.—ვიქტორ კობულაძემ, ნიკიფორე ხომერიკმა, У. У. 1 მან. და 30 კ.; თითო მანეთი—კერონტი ტუსკიამ. ანტონ რამიშვილმა, თადეოზ კონწურეიშვილმა, ს. ზ. 1 მ., ნესტორ კალანდარიშვილმა, ნიკო ჯაუელმა, მდ. სიმონ თოთიბაძემ, სოდომონ ბოდქვაძემ, თეოფილე ბოდქვაძემ, ლიული გეგიაძისამ, კორნელი ვალენტინამ, დავით მჭედლიშვილმა. გრიგოლ ლეჟავამ; ივანე ბოდკვაძემ 80 კ.; ათ-ათი შაური ვანო მელორავამ, იაკორ სამსონიამ, კონსტ. გვარჯალაძემ, ნესტორ რუსიეშვილმა, X. X., სარდიონ მამალაძემ, ერასტი ჩანტლაძემ, ვასილ ურუშაძემ, ხ—შვილმა, ჯ. სალუქვაძემ, ვიქტორ ბულაძემ, პლატონ მიქაძემ, სარდიონ ჭელიძემ, სოდომონ ვალაჭკორიამ, მაკარი გოგუაძემ; ორ-ორი აბაზი—ხარიტონ მუჯირმა, რაფიელ გოგუაძემ, სერგო ქორიძემ, იუსტინე ვალაჭკორიამ, ალექსი შარაძემ; ვეტრენკომ 37 კ.; ექვსექვსი შაური—ვალერიან ნემსაძემ, პანტელეიმონ ტუსკიამ, საბახტარაშვილმა, უ. ჯაშმა, დიმიტრი ჯაშმა; გოგიტიძემ 25 კაპ.; თითო აბაზი კ. ანჯაფარიძემ, ალექსანდრა იაშვილმა, პავლე აბრამიშვილმა, ვინც უნდა ვიფიქრო და სკოვიკოვმა; სულ შესდგა 53 მ. 92 კ., რომელიც კეკუზავნა დანიშნულებისამებრ.

აკაკი კალანდაძე

III

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რათა უდრმესი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნს პარეულ მანჯავიჯეს, რომელმაც კეთილ-ინება და ჩემდამო რწმუნებულ ახლად დაარსებულ ვახანის სამინისტრო სკოლას შემოწირა ღვთის-მშობლის ხატი, ღირებული 3 მან. და 50 კაპ..

იმედია, სხვებიც წაჰბაძავენ ბ-ნს მანჯავიძეს და შემწეობას აღმოუჩენენ ღარიბს ვახანის სკოლას, რომელსაც ჯერ-ჯერობით არავითარი სამოსწავლო ნივთი არა აქვს.

მასწავლებელი ზ. არჯევანიძე

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 თებერვალი.

ლონდონი. „დეილი ქრონიკლ“-ი ირწმუნება, რომ თუმცა ბოტასაგან მორჩილების გამოცხადების ამბავი არ ეამტკიცდა ოფიციალურად, მაგრამ საფუძველი გვაქვს კიფიქროთო, რომ ეს დამორჩილება მხოლოდ გადიდვა, რადგანაც ჯერ არ გათავებულა მოლაპარაკება პირობის ზოგიერთ ჰუხლის თაობაზეო. ეს ცნობა მტკიცდება იმით, რომ სამხედრო მოხელეებმა შესცვალეს ზოგიერთი ხელშეკრულება შესახებ სამხედრო სურსათის ჩაბარებისა სამხრეთ-აფრიკის ომის გასაგრძელებლად.

გამოცხადდა სამხედრო ბიუჯეტი 1901 წლისათვის; ყველა ხარჯებისათვის ნაანგარიშევია 87,915,000 გირვანქა სტერლინგი, მათ შორის 58,230,000 გირვანქა სტერლინგი ომისათვის. ჯარის რიცხვი დანიშნულია 450,000 კაცი; მუდმივად უნდა იყოს 220,000; დანარჩენი საჭიროა მხოლოდ სამხრეთ-აფრიკისა და ჩინეთისათვის. ნათქვამია, რომ ეხლანდელი ჯარები სამხრეთ-აფრიკაში ოთხი თვის შემდეგ თანდათან დაკოტავებულ იქმნებიან.

პეკინი. ელჩებს ჯერ საბოლოოდ არ შეუმუშავებიათ იმ პროვინციალური მანდარინების სია, რომლებიც უნდა დაისაჯნენ. მსჯელობა ჰქონდათ ეგრეთვე საელჩოს უბნის მოწყობაზე; ის დადგენილობა, რომელიც იტალიის სასარგებლოდ მიღებულ იქმნა, აიძულებს ევროპის სადამოუნო მოხელეებს, რომ გამაგრებულს უბანს გარეთ იცხოვრონ; ცხადია, ელჩებს სადამოუნო უწყება წმინდა ჩინურ დაწესებულებად მიაჩნიათ და ამიტომ არა აქვს ნება საკუთრება იქონიოს ელჩების უბანში, თუმც კი უცხოეთის კრედიტორების ინტერესები ამ უწყების ხელშია. საფრანგეთისა, გერმანიისა და ავსტრიისა ელჩები იმ აზრისანი არიან, რომ თვით ევროპიელთაგან კერძო პირებს არა აქვთ ნება საკუთრება იქონიონ ამ უბანში. თუ ეს აზრი მიღებულ იქმნა, ყველა არა-დიპლომატებმა უნდა გადამტერებულ ჩინელებ შორის იცხოვრონ, რომლებიც გაჯავრებულები არიან საელჩოების უბნისათვის საჭირო მამულის ჩამორთმევით.

ლონდონი. „მორნინგ პოსტ“ იუწყება, რომ გერმანიისა, საფრანგეთისა და ინგლისის სარდლებმა უბრძანეს ჯარებს მოემზადნენ მალე ექსპედიციის გასამართავად, თუ ჩინეთის იმპერატორი ხელ-ახლად წინააღუდგა სახელმწიფოების მოთხოვნებს.

შანჰაი. გერმანიის გემთა საზოგადოებამ „გამბურგ-ამერიკამ“ დააარსა თავისი საკუთარი მოსახლეობა გონგკონგში, დაუწესა პოსტა შანჰაისა, ცინტაუსა და ტიანძინს შუა და ჰმართავს წესიერ მიმოსვლას კანტონ-გონგკონგ-შანჰაის შუა.

სოფია. ხმა დადის, რომ ოსმალეთი 50 ათასი ჯარის კაცს გაგზავნის ბოლგარიის საზღვარზეო.

კოლონიები. ინგლისის მეფე ლონდონში წავიდა.

ბელგრადი. როცა რწმუნების წერილს აბარებდა მეფეს, რუსეთის ელჩმა სთქვა, რომ რუსეთის მთავრობას გულწრფელადა ჰსურს სერბიისათვის მშვიდობიანი განვითარება და კეთილდღეობა. მეფემ თავის მხრივ გამოსთქვა თავისი გრძნობანი უავგუსტოესი ნათლიისადმი და დაარწმუნა ელჩი, რომ მას ჰსურს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს ორივე ქვეყანას შუა და სთქვა, რომ თითონ ის და მისი მთავრობაც ყოველთვის მზად იქნებიან თავაზიანად მოექცნენ რუსეთს.

ვაშინგტონი. შეერთებულს შტატებს განზრახვა აქვთ კიდევ მოაკლონ თავის ჯარებს პეკინში და ამ განზრახვის შესაფერი ბძანება გაეგზავნა ჩაფფის.

პეტერბურგი. 17 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფლები მარია თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე ანიჩკოვის სასახლის ეკკლესიაში ეზიარნენ.

17 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა ინახულეს მოძრავი გამოფენა, რომელიც ხვალ უნდა გაიხსნას მხატვრობის დამხმარებელ საზოგადოებაში.

საღამოს 9 საათზედ საერო განათლების მინისტრის ავადმყოფობის ბიულეტენი არ გამოცხადებულა. დღეს პროფესორმა ბერგმანმა რენტგენის სხივების შემწეობით გამოიკვლია და აღმოაჩინა, რომ ტყვია კისრის მარცხენა მხარეს ყოფილა გაჩერებული. ავადმყოფის მდგომარეობა ისევ წინანდებურია.

18 თებერვალი

ტიანძინი. ორის ყასპის კლუგესი და ბერგნერის მოკვლის ამბავმა, რომლებიც საქონლის საყიდლად წასულიყვნენ შუაგულ ჩინეთისაკენ, გამოიწვია გამოძიება; გამოძიებას ჯერ არაფერი აღმოუჩენია, მაგრამ ისევ სწარმოებს.

პარიზი. ლუბემ მიიღო გერმანიის ელჩი თავადი რადოლინი საგანგებო აუდიენციაზე.

პარიზი. უტყუარი წყაროები მოწმობენ, რომ უცხოელ გაზეთებში გამოქვეყნებული რუსეთ-ჩინეთის შეთანხმების ტექსტი მანჯურიის შესახებ განზრახ არის დამახინჯებული, იმ აზრით, რომ რუსეთისადმი ნდობა შეარყიონ; განსაკუთრებით ყურადღებას იწვევს თავის დამახინჯებით ის მუხლი, რომელიც შეეხება ნუჩუანის ნავთ-სადგურს. რუსეთს რომ მოესურვა ჩინეთთან განსაკუთრებულის პირობის შეკვრა, ის ამას მოახდენდა მხოლოდ იმ პირობების აღსანიშნავათ, რომლებით მანჯურია უნდა დაებრუნებინა ჩინეთისათვის.

კაპშტადტი. დღემდის აქ 50 კაცი გახდა ავად შავი ჭირით; მათგან 12 გარდაიცვალა; კაპშტადტს გარედ ორ ადგილას აღმოჩნდა შავი ჭირი.

სარატოვი. გლეხების განთავისუფლებიდან ორმოცი წლის იუბილეის აღსანიშნავად სარატოვის საბჭომ გადასწყვიტა: დააარსოს ორი სკოლა და უწოდოს მათ სახელად „სახსოვრად 1861 წლის 19 თებერვლისა“, იშუამდგომლოს გლეხების განთავისუფლების შესახებ როზგით დასჯისაგან, აირჩიოს კომისია იმ საკითხის განსახილველად, თუ როგორ უნდა იდღესასწაულონ 50 წლის იუბილეი ამავე რეფორმისა.

პეტერბურგი. საფონდო ბირჟის განყოფილების პირველს სხდომაზე 16 თებერვალს ფინანსთა მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც, აღნიშნა-რა ბირჟის რეფორმის მნიშვნელობა, სთქვა: შეცდომით ჰგონიათო, რომ ბირჟის ახალი წესები არსებითად შესცვლიან ბირჟის საქმეების მიმდინარეობას და მოსპობენ ბირჟის ყველა ცუდ მხარეს. უეჭველია, რომ მხოლოდ საერთო გაუმჯობესება ბირჟისა და ზოგიერთ სამრეწველო საქმეთა მდგომარეობისა, შესცვლიან ბირჟის წესწყობილებას; ბირჟა, როგორც ყოველი საზოგადო დაწესებულება, საჭიროებს დისციპლინას. სასუფველია, რომ იგი წესიერად აწარმოებდეს საქმეებს და მისი ყოველ-დღიური მოქმედება ნამდვილ სურათად იხატებოდეს ბიულლეტენებში. ფასიანი ქაღალდების ღირებულობის ხშირმა აწევ-დაწევამ ნდობა დაუკარგა საზოგადოებაში ბირჟას; საჭიროა, ეს ნდობა ისევ იქმნას აღდგენილი. მინისტრმა, უსურვა-რა საბჭოს წევრებს მხნე მოღვაწეობა, აღუთქვა მათ დახმარება.

საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის ავადმყოფობის ბიულლეტენი: „ღამე თითქმის არ ეძინა, რადგანაც დროგამოშვებით სუნთქვა უძნელდებოდა; სუსტად არის; სიცხე 37,6, მაჯა—78, სუნთქვა—16; ნახველში სისხლი აღარა სჩანს. ყლაპვა უძნელდება; ექიმების აზრით, ჯერ საჭიროა არ არის ტყვიის ამოღება“.

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ზეონია.	ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 16 თებერვალს.

ფექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90
ბერლინზე 100 მარკაში.	45,87½
პარიზზე 100 ფრანკში	37,35
ლონდონზე ჩეკები	94,85
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	5¾,—7½,%

	მყიდვ.	გამყ.	გაყიდ.
	ფ ა ნ ა თ ი.		
4% სახელმწიფო რ ნტა.	—	—	96⅛
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—	—	100
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა.	—	96	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	—	—	335½
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	—	—	295¼
5% ვირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ ბანკისა.	—	—	219½
3½% გირავ. ფ ურ. იმავე ბანკისა	89	—	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკი 5% გირავნ. ფურცლ	—	—	93⅜
4½% გირავნობა ფურც. იმავე ბანკისა.	87½	—	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფ ურ ლ	100	—	—
5% გირავნ. ფ ურც. იმაკე ბანკისა.	93	—	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	93	—	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	—	—

ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: ვოკზალზ

	ფუთი.	მან.	კაპ.	მან.
ხორბალი საუკეთესო	1	1	30	1
» წითელი	1	1	15	—
ქერი	1	—	70	—
სიმინდი	1	—	65	—
ფქვილი სოფლისა	1	1	20	—
» უფრო მდარე.	1	1	10	—
კომბოსტო	1	—	30	—
კარტოფილი	1	—	65	—
ხახვი	1	—	40	—
თივა	1	—	25	—
ბზე	1	—	23	—

შუა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებ 38 მან., შუა ნარეკი 36 მ. ცხვარი თუშ 3 მ. — კახეიკიდან 4 მ.-მდე, ცხვარი თუთ ლი 3 მ. — კ.-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძრ და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 კ.-მ ხარი შესაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ., კამ საკლავი 26 მ.-დან 34 მანეთამდე.

რუსეთის ბაზრები:

ფქვილი ოსტოგში:

ხარისხი.		ხარისხი.	
№ 0—9 მან.	— კ.	№ 4—6 მან.	75
№ 1—8 »	25 »	№ 5—6 »	50
№ 2—7 »	75 »	№ 6—6 »	—
№ 3—7 »	25 »	№ 7—5 »	75

სიმინდი (ნოეორლსიაში) 1 ფ. 54—41 კ ქერი ოსტოგში 50 კ.-დან 57 კ.-მდე, ნოე ოსლიაში 59 კაპ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფუთისა—87 კ. შაქარი იქმე ფუთი . . . 6 მან. 80 » » ფხვნილი » . . . . 5 » 30 »

მატელი ისპანიური თეთრი—ფუთი გაუსუ თავებელი 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატელ 10% შავ-ნარეკი—ადგილობრივი—3 მ. 75 კ —4 მ. — კ., კარეტხილი — მან. — კ ისპანიური ჯიშის ცხვრის ტყავი თითო — მ — კაპეიკამდე.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბ ქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათობ დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოშ ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილ სში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (ს. 10 წ

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფი ლისში გადის დაძის 11 ს. 15 წ. (12 ს. 1 წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 საათ 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

ოგიგე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გ დის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.) ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.)

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფ ლისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ (9 ს. 21 წ.).

ოგიგე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუ ში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმ ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

ოგიგე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ოგიგე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 წ), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Февраля 1901 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდ ქუჩა, № 27.